ადამიანისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების ისტორიული ასპექტები და ანთროპოგენური რელიეფის ტიპები

ცეცილია დონაძე
ელ-ფოსტა:tsetsilia.donadze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზირი №3

ადამიანისა და გარემოს ურთიერთზემოქმედებაზე დაკვირვება, კვლევა ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს; მის შესახებ მასალები ჯერ კიდევ ანტიკური ნატურფილოსოფიის წიაღში შეიძლება მოვიპოვოთ. ამჟამად, გეოგრაფიული გარსის განვითარების ნოოსფერულ ფაზაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგნოზსა და მონიტორინგს. თანამედროვე გეოგრაფიის უმთავრესი ამოცანაა ბუნების მდგრადი განვითარება, გარემოს მდგომარეობის კონტროლი და პროგნოზირება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისათვის რეკომენდაციების გაცემა; მეტად მნიშვნელოვანია სტიქიური უბედურებების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შესწავლა და პროგნოზირება, ვინაიდან ძლიერაა გახშირებული მათი გამოვლინება და მოსახლეობის ზრდის და ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ მოსალოდნელია, რომ მათი მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება. ადამიანი ბუნებრივი გარემოს ელემენტებიდან ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიეფს, ითვალისწინებდა რა მის თავისებურებებს საცხოვრებელად და სხვადასხვა სამუშაოთა წარმოებისას.

ჩვენს წ/აღ–მდე 460 წელს, ძველი დროის ცნობილმა ექიმმა ჰიპოკრატემ, მოგვაწოდა იდეა ბუნებრივი პირობების გავლენისა ადამიანის ორგანიზმზე, აგებულებაზე, ხასიათზე. ეს იდეა შემდგომში განვითარდა გეოგრაფიული დეტერმინიზმის სახელით. იგივე აზრს იზიარებდნენ ძველი დროის ცნობილი მეცნიერები– ***ჰეროდოტე და სტრაბონი.***

გეოგრაფიული დეტერმინიზმი განსაკუთრებით განვითარდა XVIII ს–ში, მისი მიმდევრები იყვნენ ***მონტესკიე, ჰენტინგტონი, მარკჰეიმი, XIX ს–ში: ბოკლი, რიტერი, რეკლიუ, ბრიუნი, მეჩნიკოვი.*** იმპერიალიზმის განვითარების ეპოქაში გეოგრაფიულმა დეტერმინიზმმა საფუძველი დაუდო **რეაქციულ გეოპოლიტიკას.** რეაქციული გეოპოლიტიკის იდეის მამამთავარი იყო გერმანელი მეცნიერი ***ფ.რატცელი*** (1844–1904 წწ).

სრულიად საპირისპირო იყო **გეოგრაფიული ნიჰილიზმის** მიმდინარეობა, რომელთა მიერ საერთოდ უარყოფილია ბუნებრივი პირობების გავლენა საზოგადოებაზე. იდეოლოგიამ განსაკუთრებული განვითარება საბჭოთა კავშირში ჰპოვა.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად სხვადასხვა სახის ანთროპოგენური რელიეფი იქმნება; ასეთებია:

1.საქალაქო ტიპის რელიეფი.
2.სასოფლო ტიპის რელიეფი.
3.საინჟინრო-სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ტრანსფორმირებული რელიეფი.
4. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას შექმნილი რელიეფი.
5.სამხედრო რელიეფი.